ევროკონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი

საკუთრების უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს **საკუთრების უფლებას.**

ამ დებულების მიხედვით:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არ შეიძლება, ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით. თუმცა, ზემოხსენებული დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების, შენატანების ან ჯარიმების გადახდის მოკრება“.

იურიდიული პირის საკუთრება

არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დაცვით. იურიდიული პირები ასევე იმყოფებიან ამ უფლების მოქმედების ფარგლებში. ეს ნათელია პირველი მუხლის ფორმულირებიდანაც, რომელიც ეხება ყველა „ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს“.

ამრიგად, იურიდიულ პირს შეუძლია, გაასაჩივროს მისი ქონების ხელყოფის ფაქტი. ამასთან, აქციონერებს, ზოგადად, არ გააჩნიათ კომპანიისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. „კორპორაციული საფარის ახდა“ ნებადართულია მხოლოდ გამონაკლისის სახით, როდესაც კომპანიას არ შეუძლია მოთხოვნის დაყენება მისი წარმომადგენლობითი ორგანოებისა თუ ლიკვიდატორების მეშვეობით.

ეს პრინციპი გამოყენებულ იქნა საქმეში **„აგროტექსიმი საბერძნეთის წინააღმდეგ“.**[1] ამ შემთხვევაში განმცხადებლები იყვნენ იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნდათ წილი ათენის ერთ-ერთ ლუდის ქარხანაში. გარკვეული ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად, ლუდის ქარხნის მმართველობამ მისი კუთვნილი მიწის ორი ნაკვეთის განვითარება გადაწყვიტა. ამის საპირისპიროდ, ათენის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთების ექსპროპრიაციის ზომების მიღების თაობაზე. ამის შემდეგ ლუდის ქარხანა გაკოტრდა, რის გამოც დაინიშნენ ლიკვიდატორები. განმცხადებელმა აქციონერებმა საჩივრით მიმართეს ადამიანის

[1] **Agrotexim v. Greece,** A330-A (1995).

უფლებათა ევროპულ კომისიას; მათი მტკიცებით, ექსპროპრიაციის ზომები ეწინააღმდეგებოდა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნებს.

სახელმწიფოს თვალსაზრისით, განმცხადებლები, როგორც აქციონერები, არ იყვნენ დაზარალებულნი, კომპანიის საკუთრების უფლების დარღვევის შედეგად. კომისიამ დაადგინა, რომ ისინი შეიძლება დაზარალებულები ყოფილიყვნენ, თუ მხედველობაში იქნებოდა მიღებული, რომ ლუდის ქარხნის საკუთრების ხელყოფას მოჰყვა მათი აქციების გაუფასურება და, შესაბამისად, შემცირდა განმცხადებელთა მფლობელობის წილის ღირებულებაც. **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა ამ არგუმენტს. მან მიუღებლად ჩათვალა ის მოსაზრება, რომ აქციონერს გააჩნია ზოგადი უფლება, მოითხოვოს კომპანიის საკუთრების უფლების ხელყოფის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.** მან მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ხშირია აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს შორის (ან თვით აქციონერთა შორის) უთანხმოება. ამგვარი უთანხმოების არსებობა ართულებს კომპანიის უფლებათა დარღვევის დადგენას. თუ გაზიარებული იქნებოდა კომისიის თვალსაზრისი, წარმოიშვებოდა საფრთხე იმისა, რომ დაპირისპირებული ინტერესების გათვალისწინებით საკმაოდ რთული იქნებოდა მოთხოვნისათვის უფლებამოსილი პირის დადგენა. ამგვარი თვალსაზრისი, ასევე, შექმნიდა შინასახელმწიფოებრივი ზომების ამოწურვის დადგენის რეალურ პრობლემებს,[342] ვინაიდან, მონაწილე სახელმწიფოთა კანონმდებლობის თანახმად, აქციონერებს, როგორც წესი, არა აქვთ სარჩელის შეტანის უფლება კომპანიის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით.

ევროსასამართლომ შესაბამისად დაადგინა, რომ „კორპორაციული საფარის ახდა", ანუ კომპანიის იურიდიული პირის სტატუსის უგულებელყოფა, გამართლებულია მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში - კერძოდ, როდესაც აშკარაა, რომ იურიდიულ პირს არ შეუძლია მოთხოვნის წარდგენა იმ ორგანოს მეშვეობით, რომელიც მისი წესდების საფუძველზეა შექმნილი ან ლიკვიდატორების მეშვეობით ლიკვიდაციის შემთხვევაში. **მოცემულ საქმეში არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი იმისა, თუ რატომ არ შეეძლოთ ლიკვიდატორებს მოთხოვნის წარდგენა. ასევე, არ არსებობდა მათ მიერ სამუშაოს არასათანადოდ შესრულების ვარაუდი. ამრიგად, განმცხადებელთა განაცხადი დასაშვებობის სტადიაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.**[3]

---

[2] კონვენციის 35-ე მუხლი მოითხოვს ყველა შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალების ამოწურვას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საჩივრით მიმართვამდე.

[3] საქმე „აგროტექსიმი საბერძნეთის წინააღმდეგ" აშკარად განსხვავებულ მიდგომას ავლენს კომისიის უფრო ადრეულ გადაწყვეტილებებთან შედარებით, რომლებშიც მან დაადგინა, რომ კომპანიის აქციათა მნიშვნელოვანი უმრავლესობის მფლობელი შეიძლება ცნობილ იქნეს დაზარალებულად იურიდიული პირისადმი მიყენებული ზიანის გამო, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიზნებისათვის. იხ. 1983 წლის გადაწყვეტილება განაცხადზე №9266/81 „იაროუ გაერთიანებული

სამეფოს წინააღმდეგ“ (Yarrow v. the United Kingdom), ასევე საჩივარზე №1706/62, *„X. ავსტრიის წინააღმდეგ“* (X. v. Austria), 21 CD 34 (1966).